

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს
პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის
კანდიდატის შეფასების ფორმა

სიმონ ჩხაიძის
მოსამართლეობის კანდიდატის

სიმონ ჩხაიძის

შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	
წერის უნარი	19	20	
უფრის კომუნიკაციის უნარი	14	15	
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქვევა სასამართლო დარჩაზში	15	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	
პროფესიული აქტივობები	5	5	
ქულათა ჯამი	92	100	

სახელი, გვარი: ლევან ივანეს

თარიღი: 29.04.2024



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ლევანი თევზაძე

2024 წლის 29 აპრილი,

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - სიმონ ჩხაიძის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა სიმონ ჩხაიძე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავევანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 24 აპრილს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სტუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 18 წელზე მეტია. კერძოდ:

- 1996-1999 წლებში იყო მასწავლებელი ბათუმის სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტში, ასევე - მასწავლებელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში;
- 1998 წელს იყო შპს „დამოუკიდებელი რეგისტრატორი რეესტრ-ცენტრის“ იურისტი;
- 1998-2000 წლებში იყო სს „ინდუსტრია-ინვესტის“ იურისტი;
- 1999-2000 წლებში იყო შპს „იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგის“ დირექტორი, ხოლო 2000-2004 წლებში - იმავე საწარმოს თბილისის ფილიალის დირექტორი;
- 2004-2006 წლებში იყო სპს „ალაფიშვილი, ყავლაშვილი და ჩხაიძე - GLG იურიდიული ოფისის“ მმართველი პარტნიორი;
- 2004 წელს იყო აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი;
- 2005-2006 წლებში - „თავისუფლების ინსტიტუტი“ რეგიონალური ომბუდსმენი.

მოსამართლედ გაწევსდა 2006 წლის 20 თებერვალს და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა:

- 2006-2019 წლებში - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში; ის მოსამართლის თანამდებობაზე
- 2019 წლის 22 ნოემბრიდან დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იყო რესპუბლიკური პოლიტიკური პარტიის წევრი/ მხარდამჭერი 1991-2006 წლებში.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკურედიტო ისტორიით. კანდიდატის საკუთრებად რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთები 2000 მ² ფართით და 1200 მ² ფართით, მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუბუთში; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგრმარეობის დყვლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.

სასამართლოში კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა 2 სამოქალაქო საქმეში. ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 93.5% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 93.1% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 90.7% შემთხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მისი ავტორობით/თანავტორობით შექმნილი სამართლებრივი ნაშრომები: 1. „სხვა ობიექტური გარემოება“, როგორც შრომითი ხელშეკრულების მომლის საფუძველი - „მართლმსაჯულება და კანონი“ N4 (56)17; 2. „სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში“ - სახელმძღვანელო - თანავტორი; 3. „ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები

სააღსრულებო ფურცლის გაცემისას“; 4. „უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“ - „მართლმსაჯულება და კანონი“ – N2 (78)23.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს, კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სამართლებრივი ნამრომები: 1. „დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში - ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“ - „მართლმსაჯულება და კანონი“ (N:4(35)12; 2. „მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში“ - „მართლმსაჯულება და კანონი“ (N:1(28)11; 3. ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი) - „მართლმსაჯულება და კანონი“ – N2 (41)14.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ 3 სასწავლო ღონისძიებაში:

- 14-18 თებერვალი, 2023წ: ეფროვანმისიისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მიერ ჰავაგის კონვენციების იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად ორგანიზებული ონლაინ ტრენინგი;
- 28-30 ივნისი, 2023 წ: სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 27 იანვარი, 2020წ: ბავშვის უფლებათა კოდექსი, სამუშაო შეხვედრა.

კანდიდატს 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2014-2019 წლებში: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი;
- 2020-2022 წლებში: თბილისის დია უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი.
- 2022 წლიდან დღემდე - საქართველოს საპატირიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: <https://www.youtube.com/watch?v=dOHBlA7Jqts>). მას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსცეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხების უმრავლესობა იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თუმცა, გამოვლინდა გარკვეული შეცდომები/ ჩარვეზები მის მიერ გაცემული პასუხებში, კერძოდ: ვერ შეძლო სრულყოფილად ჩამოეყალიბებინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის პირობები; ასევე ვერ გაიხსენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე „საქართველოს მოქალაქე ჩანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სასჯელადსრულებით დაწესებულებებში შემოწმების ერთ-ერთი სახის - სხეულის გაშიშვლების, როგორც ლირსების შესაძლო შემლახავი მოპყრობის შესახებ; ვერ შეძლო სრულყოფილად განევითარებინა მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული აკრძალვების შესახებ.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედების პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კუთალსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა, დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ე) ფინანსური ვალდებულება - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმციის გამაქარწყლებული, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გაირკვა:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს და მოსამართლეს, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის,

კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მომრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიშის გადახდისას), სიმართლისმოყვარეობა.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, მიუკერძოებელია პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, ასევე - სამართლიანობა.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/ სამართლებრივი რეალობის აღეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატს აქვს საქმიანი და მაღალი მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის შერივ, გამორიცხავს საფურთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის შე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი სიმონ ჩხაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული თანამდებობის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესდაფერისი ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემოხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე 16 ქულით (მაქსიმალური -20);

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. კანდიდატის შიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, რაც, გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას ამნელებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შევასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განჩინებების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა - ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აწერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19 ქულით**, (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულის) ისშენს მოთმინებით. საჯარო მოსმენისას დასმულ შეკითხვებზე მსჯელობისას კანდიდატს რამდენიმე შემთხვევაში გაუჭირდა (შესაძლოა ნერვიულობის ფონზეც) პასუხის/აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აწეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **14 ქულით**, (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით** (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში იშვიათად მონაწილეობს; იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

აღნიშნული გარემოებების გასაყვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **4 ქულით** (მაქსიმალური 5 ქულა).

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებსა თუ შეხვედრებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შესედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით
(მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპუტერულობის კრიტერიუმის მიხედვით
საერთო ჯამში, კანდიდატ სიმონ ჩხაიძეს ვანიშვილ 92 ქულას.



ლევანი თევზაძე